საქართველოს მულტიკულტურალიზმი გერმანული ეთნოსის ქვეყანაში მიგრაციის და თვითმყოფადობის მაგალითზე*

მერაბ დათუაშვილი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

გიორგი სორდია
საქართველოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ვაჟა დათუაშვილი
IRI Georgia-ს პროექტის სპეციალისტი

MULTICULTURALISM OF GEORGIA ON THE EXAMPLE OF MIGRATION AND IDENTITY OF ETHNIC GERMANS IN THE COUNTRY

Merab Datuashvili
Associate Professor at
Akaki Tsereteli State University
Giorgi Sordia
Associate professor
at the University of Georgia
Vazha Datuashvili
Project Specialist at IRI - Georgia

ABSTRACT

The findings emphasized in this article reflect the issues of the existence of ethnic, national and religious minorities and their role in the processes of determining the national policy of modern Georgia.

The study is devoted to the migration, prosperity and tragic issues of specifically German ethnic groups in Georgia. Despite the first attempts of the Georgian kingdoms to establish friendly contacts with the German society, the stipulation of the belowmentioned condition is a result of the imperial colonization of Russia. The six colonies were founded by German settlers in the southeast of Georgia. They reached their peak of potential at the end of the 19th century and the 20s of the 20th century. As a result of the Sovietization, the repressions of the Second World War and the hardships of the 90s, the traditional German settlements were emptied of Germans, and according to modern data, in total in the whole country, they do not exceed a few hundred.

The research team continues holistic research on issues of the cultural heritage of the German ethnic groups in Georgia. Collection of the information on old customs, clothes and costumes of ethnic minorities will significantly contribute to the processes of integration of these groups into the general cultural life of the country.

Key words: ethnic minority, German ethnos, historical references, cultural heritage.

საკვანძო სიტყვები: ეთნიკური უმცირესობა, გერმანული ეთნოსი, ისტორიული ცნობები, კულტურული მემკვიდრეობა.

* * * *

საქართველო მულტიკულტურული სახელმწიფოა, სადაც ტრადიციულად ცხოვრობენ სხვადასხვა ეთნიკური, ლინგვისტური თუ რელიგიური მახასიათებლების მატარებელი ეთნოსები და კულტურული ჯგუფები. ქვეყნის ეთნიკური შემადგენლობა წლების მიხედვით მუდმივ ტრანსფორმაციას განიცდის. ეთნიკური სტატისტიკის ანალიზი აჩვენებს, რომ მკვეთრი ჰომოგენიზაციის ტენდენცია შეინიშნება და ეთნიკური მრავალფეროვნება დროთა განმავლობაში იკარგება. ნაშრომში მოყვანილი კვლევა ეძღვნება გერმანული ეთნოსის საქართველოში მიგრაციისა და თვითმყოფადობის საკითხებს.

გერმანელები (თვით სახელწოდება: deutche; ქართულად germanelebi) საქართველოში ძირითადად XIX საუკუნის დასაწყისიდან ცხოვრობენ. საქართველოსა და გერმანიას შორის დიპლომატიური და პოლიტიკური ურთიერთობების ისტორია 1187-1188 წლებიდან იწყება, გერმანიის იმპერატორ ფრიდერიხ I ბარბაროსას (მეფობა 1152-1190) და საქართველოს სამეფო კარს შორის დიპლომატიური მოლაპარაკებებით, მისი ვაჟისა და თამარ მეფის (მეფობა 1184-1213 წწ.) ქორწინების შესახებ.[1]

1 ნ. ჯავახიშვილი, თამარ მეფის ორდენი, გერმანულ-ქართული სამხედრო პოლიტიკური ალიანსისი ისტორიიდან, თბილისი, 1998 წელი, გვ 7

* კვლევა განხორციელდა პროექტის - „საქართველოში ეთნიკური, ეროვნული და რელიგიური უმცირესობების ტრადიციული სამოსის ფორმირების ფაქტორებისა და დაგეგმარების თავისებურებების კვლევა“ ფარგლებში სახელწოდებით MTC Research Program, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (გრანტი - FR №–22–2598).

საუკუნეების შემდეგ ქართლის მეფე ვახტანგ VI აქტიურ მიმოწერას აწარმოებდა საღვთო რომის იმპერატორსა და ბოჰემიისა და უნგრეთის მეფე კარლ VI-სთან (მეფობა 1711-1740 წწ.). XVIII საუკუნეში, ერეკლე II (მეფეობა 1744-1798 წლამდე) ხშირად იღებდა მეცნიერებსა და კათოლიკე მისიონერებს ევროპიდან თავის კარზე. მათ შორის იყო: იოჰან ანტონ გიულდენშტედტი (1745-81), სამეცნიერო ექსპედიციის ხელმძღვანელი 1768-75 წლებში; რუდოლფ ელიჩი, დიპლომატი და მეცნიერი, რომელიც ერეკლე II-ისგან შვიდი სოფელი მიუღია საჩუქრად მრჩევლად სამსახურისათვის.[2] აღსანიშნავია იულიუს ფონ კლაპროტის (1783-1835) ექსპედიცია კავკასიაში 1807-08 წლებში, რომელმაც 1827 წელს გამოსცა ქართულ-ფრანგული და ფრანგულ-ქართული ლექსიკონები და ქართული გრამატიკა.[3]

XIX საუკუნის დასაწყისში ქართული სამეფოების ანექსიის შემდეგ დაწყებული კოლონიზაციის მიზნით სამხრეთ კავკასიაში დასასახლებლად მიიწვიეს სხვადასხვა დარგის სპეციალისტები. ეკატერინე II "დიდის" (1762-1796) მეფობის დროს ეს პოლიტიკა კიდევ უფრო გაფართოვდა. დაარსდა ახალი კოლონიები და სპეციალური დასახლებები. გერმანიისა და რუსეთის სამეფო ოჯახების მჭიდრო დინასტიური ურთიერთობები ყველანაირად უწყობს ხელს გერმანელი გლეხების რუსეთის იმპერიის პერიფერიებში გადასახლებას, რის შედეგადაც მოხდა გერმანელების პირველი ჩასახლება საქართველოში.

1817-1819 წლებში შვაბიის რეგიონიდან ჩამოსულმა 2629 პროტესტანტმა დააარსა: მარიენფელდი (ამჟამად სართიჭალა), ნეუ ტიფლისი (თბილისის კუკიას რაიონის ნაწილი), ალექსანდრესდორფი (თბილისის დიდუბის რაიონი), პეტერსდორფი (სართიჭალასთან), ელისაბეთტალი (ახლანდელი სოფელი ასურეთი) და კატარინენფელდი (ახლანდელი ბოლნისი). 1842 წელს დაარსდა კიდევ ერთი გერმანული კოლონია ფროიდენტალი (აბასთუმანი).[4]

XIX საუკუნის ბოლოსთვის სამხრეთ კავკასიაში გერმანული თემის მოსახლეობამ 34623-ს მიაღწია, მათ შორის თბილისში 4000. 1834 წელს თბილისში დააარსეს ლუთერანული ეკლესია. გერმანელი მღვდლების ინიციატივით, დაარსდა გერმანული სკოლებიც, გერმანული სკოლის სასწავლო გეგმის საფუძველზე. XIX საუკუნის შუა პერიოდში ჩამოსულმა გერმანელებმა ჩამოაყალიბეს განვითარებული სოფლის მეურნეობა, მეცხოველეობა და ხელოსნობის საწარმოები.

1881 წლიდან რუსიფიკაციის პოლიტიკის გამკაცრების მიზნით არსებული გერმანული სკოლები გადაკეთდა რუსულ საჯარო სკოლებად და რუსული ენის ცოდნა სავალდებულო გახდა ყველა გერმანელისთვის. მე-19 საუკუნის ბოლოდან რუსებისა და კაზაკების სახით საქართველოში ჩამოდის ახალი კოლონიზატორების ნაკადი რომლებიც სახლდებიან გერმანულ ანკლავებში.[5]

1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობასთან ერთად გამოცხადდა ახალი ქართული სახელმწიფოსა და გერმანიის პროტექტორატის დაარსება. 1918 წლის ნოემბერში, გერმანია კაპიტულაციის შედეგად კარგავს პოლიტიკური გავლენას სამხრეთ კავკასიაში და მას ანაცვლებს დიდი ბრიტანეთი. 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული პირველი საქართველოს კონსტიტუცია, გერმანელი სოციალისტების გავლენით, არა მხოლოდ ზოგად პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებს მოიცავდა, არამედ უმცირესობათა უფლებებსაც არეგულირებდა.[6]

1921 წელს საქართველოში საბჭოთა რეჟიმის დამყარების შემდეგ გერმანული ორგანიზაციები იხურება და ასობით გერმანელი, რომლებმაც უარი თქვეს საბჭოთა მოქალაქეობაზე ტოვებს ქვეყანას. იხურება გერმანული სკოლები. გერმანული ენის სწავლება მხოლოდ კომპაქტურ დასახლებებშია ნებადართული. 1926 წელს საქართველოში მცხოვრები 12074 გერმანელიდან მხოლოდ 5345 შეეძლო გერმანულად საუბარი. 1929-30 წლებში კოლექტივიზაციის დროს ბევრი გერმანელი დააპატიმრეს და კულაკებად გადაასახლეს ციმბირში.

1941 წლის ივნისიდან საბჭოთა კავშირში ეთნიკური გერმანელები პოტენციურ კოლაბორატორებად განიხილება და იწყება მასიური აქციები ეთნიკური გერმანელების დასაკავებლად. 1941 წლის ოქტომბერში სამხრეთ კავკასიიდან, თითქმის ყველა გერმანელი, დეპორტირებული იქნა ყაზახეთში ან ნოვოსიბირსკის ოლქში, 23,580 საქართველოდან, 22,741 აზერბაიჯანიდან და 212 სომხეთიდან. 1956 წლიდან საქართველოში გერმანელების მცირე რაოდენობა დაბრუნდა.[7]

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მილიონობით გერმანელ სამხედრო ტყვეთა („ინტერნიერები") იძულებითი შრომის შედეგად მრავალი დასახლე-

2 გ. მანჯგალაძე, გერმანელი კოლონისტები სამხრეთ კავკასიაში, თბილისი 1974, გვ.4.

3 Hewitt, George: The Russian Imperial Academy and Western Transcaucasia, Paper presented at a Conference on research and Identity: non-Russian Peoples in the Russian Empire, 1800-1855, Kymenlaakso Summer University, 14-17 June 2006. pp. 10-11.

4 ბედისა ამაშუკელი, ვერა ყალაბეგაშვილი, ...და დაბინადრდნენ ჩვენს მიწა-წყალზე, გერმანული კოლონიების შექმნა საქართველოში მე-19 საუკუმენში, "საისტორიო მოამბე" გვ. 65-66.

5 გ. მანჯგალაძე, გერმანელი კოლონისტები სამხრეთ კავკასიაში, თბილისი, 1974 წ, გვ.14

6 საქართველოს ისტორია, XX საუკუნე, რედაქტორი ვახტანგ გურული, თსუ გამომცემლობა 2003, გვ.64

7 დ. შპრინგჰორნი, გერმანელები საქართველოში, თბილისი 2004, გვ. 58

ბული პუნქტი თუ დაწესებულება იქნა აშენებული საქართველოში. 1946 წელს საქართველოს სსრ-ში თითქმის 3000 „ინტერნიერი“ იყო, რომლებსაც მხოლოდ 1960-1970-იან წლებში მიეცათ უფლება დაბრუნებულიყვნენ გერმანიაში. ზოგი მათგანი დარჩა და დღესაც ცხოვრობს საქართველოში, ძირითადად რუსთავსა და თბილისში. თბილისში, საირმის მთაზე 1991 წელს აღნიშნული სისასტიკის აღსანიშნავად დაიდგა მემორიალური ობელისკი. 1992 წლიდან, საქართველოს მინისტრთა საბჭოს სპეციალური ბრძანებულებით გერმანული გვარის მქონე საქართველოს მოქალაქეებს თავისუფლად შეუძლიათ გერმანული ეროვნებ მიღება.[8]

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მნიშვნელოვანი იყო გერმანელების როლი ქვეყნის კულტურული და სამეწარმეო ცხოვრების განვითარებაში. გერმანელების მიერ დაარსებული ინსტიტუტები წარმატებით ემსახურებოდნენ ქვეყნის ინტერესებს. საქართველოში წარმატებით მოღვაწეობდნენ გერმანელი არქიტექტორები, ფარმაცევტები, გეოლოგები, ენერგეტიკოსები, მწერლები, ჟურნალისტები, რედაქტორები, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სპეციალისტები. საბჭოთა პერიოდში გერმანული ეთნიკური წარმომავლობის დამალვამ გამოიწვია გერმანული ენის დაკარგვა და მათი სრულად ასიმილაცია ადგილობრივ - რუსულ ან ქართულენოვან საზოგადოებასთან. დღეს, გერმანელების აბსოლუტური უმრავლესობა საქართველოში ორენოვანია და საუბრობს რუსულად ან ქართულად.

დღეს გერმანული თემი საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე პატარა უმცირესობების თემია, რომელიც ძირითადად კონცენტრირებულია ქალაქებში, კომპაქტური დასახლებების გარეშე, თუმცა რამდენიმე გერმანული ოჯახი დაბრუნდა ტრადიციულ გერმანულ დასახლებებში, როგორიცაა ასურეთი (ყოფილი ელიზაბეტტალი). დღევანდელი მოსახლეობის ზუსტი რაოდენობის დადგენა რთულია. 2002 წლის ბოლო აღწერის მიხედვით, 651 ადამიანი იყო დაფიქსირებული, როგორც გერმანული უმცირესობა, თუმცა მთავარ გერმანულ ორგანიზაციას-ეინუნგს საქართველოში, დამოუკიდებლად აქვს რეგისტრირებული დაახლოებით 2000 გერმანელი.

კვლევის შედეგების აქტუალობა გამომდინარეობს თანამედროვე ქართული სახელმწიფოს მიერ ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და მის ზოგადქართულ კულტურულ სივრცეში ინტეგრირების საკითხებიდან. არ დაგვავიწყდეს, რომ საქართველოში მცხოვრები ეთნიკურად და რელიგიურად განსხვავებული ჯგუფების კულტურული მემკვიდრეობა აღიარებულია ზოგად ქართულ კულტურულ მონაპოვრად.[9]

პროექტის ფარგლებში ინტენსიურად მიმდინარეობს კვლევა ეთნიკურ უმცირესობათა და მათ შორის გერმანული ეთნოსის კულტურული მემკვიდრეობის საკითხებზე. ინფორმაცია ეთნიკურ უმცირესობათა წეს ჩვეულებებზე, სამოსსა და აღკაზმულობაზე მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ამ ხალხების პოპულარიზაციის პროცესებს ქვეყნის ზოგად კულტურულ სივრცეებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Hewitt, G. (2006). non-Russian Peoples in the Russian Empire. Conference on research and Identity (pp. 10-11). Kymenlaakso Summer University.

2. ამაშუკელი, ბ., & ყალაბეგაშვილი, ვ. (1924). გერმანული კოლონიები საქართველოში. საისტორიო მოამბე, 65-66. გურული, ვ. (2003). საქართველოს ისტორია, XX საუკუნე. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

3. მანჯგალაძე, გ. (1974). გერმანელი კოლონისტები სამხრეთ კავკასიაში,. თბილისი: გამომცემლობა მეცნიერება. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო. (2016).

4. საქართველოს სახელმწიფო კულტურის პოლიტიკის დოკუმენტი „კულტურის სტრატეგია 2025“. თბილისი: საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო.

5. შპრინგჰორნი, დ. (2004). გერმანელები საქართველოში. თბილისი.

6. ჯავახიშვილი, ნ. (1998). გერმანულ-ქართული სამხედრო პოლიტიკური ალიანსისი ისტორია. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

8 In the Soviet period from the 1930's and in the first years of Georgian independence, citizens' held so-called 'internal passports' as their main ID documents, which would indicate the nationality (ethnicity) of the holder. The text of the decree can be found in the newspaper Sakartvelos Respublica, 30 July 1992.

9 საქართველოს სახელმწიფო კულტურის პოლიტიკის დოკუმენტი „კულტურის სტრატეგია 2025“ , ხელმისაწვდომია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის ოფიციალურ ვებ გვერდზე https://mes.gov.ge/publicInfo/wp-content/uploads/2013/12/%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90-2025.pdf , ბოლო ნახვა 25.09.2023.